ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება

განკარგულება:**g-13.13213375**
თარიღი:**03/12/2021**

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წევრთა რაოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 28-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. განისაზღვროს ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წევრთა რაოდენობა :

   ა) სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია - 17 წევრი;

   ბ) საფინანსო-საბიუჯეტო კომისია - 17 წევრი;

   გ) მუნიციპალური ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისია - 17 წევრი;

   დ) სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია - 17 წევრი;

   ე) სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია - 17 წევრი.

2. დამტკიცდეს ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში ფრაქციათა და უფრაქციო საკრებულოს წევრთა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები დანართის შესაბამისად.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში. (მის: ქ.ახალციხე, მებაღიშვილის ქ.№62.)

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი